ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

რა უნდა ვიცოდეთ

სამშენებლო მასალების

წარმოებისა და ბაზარზე განთავსებისთვის

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პალიტრა

სამშენებლო მასალებია, მაგალითად, ცემენტი, არმატურა, მშენებლობის დროს გამოყენებული ელექტროკაბელები, გიფსო პროდუქტები, გეოტექსტილი და სხვა – სამშენებლო პროდუქტების სრული ჩამონათვალი მოცემულია ევროპული რეგულაციის N 305/2011 დანართში IV.

სამშენებლო პროდუქტების რეგულირების ვალდებულება

სამშენებლო პროდუქტების მიმართ მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრის ვალდებულება მომდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებიდან, კერძოდ, შეთანხმების მე-4 თავის დანართი III-დან, რომლის თანახმადაც, ზემოაღნიშნულ რეგულაციასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მაქსიმალურ ვადად დადგენილია 2022 წელი.

უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამშენებლო მასალების შესახებ ევროპულ რეგულაციასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება დაჩქარდა და რამდენიმე პროდუქტისთვის (ცემენტი, არმატურა, ელექტროკაბელები, პლასტმასის მილები) ეს რეგულაცია უკვე 2018 წლის 15 ნოემბრიდან შევიდა ძალაში, ხოლო სხვა პროდუქტებზე, ევროპული პრაქტიკის შესაბამისად, ეტაპობრივად, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში გავრცელდება.

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა სამშენებლო მასალების მიმართ მოთხოვნების შესახებ შემდეგი ნორმატიული აქტებისაგან შედგება:

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ განსაზღვრავს მოთხოვნებს ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების წარმოების, მათი შესაბამისობის შეფასების, ბაზარზე განთავსებისა და ბაზარზე განთავსებული პროდუქტების ზედამხედველობის პროცესების მიმართ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის N476 დადგენილება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს სამშენებლო მასალების მიმართ და ადგენს მოთხოვნებს სამშენებლო მასალების წარმოების და ბაზარზე განთავსების შესახებ.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N50 საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი

ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ. დადგენილება განსაზღვრავს იმ ქვეყნების ნუსხას, რომლებში წარმოებული პროდუქტებიც შეზღუდვების გარეშე განთავსდება საქართველოს ბაზარზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N51 საქართველოში იმპორტირებული, შესაბამისობის შეფასებისადმი დაქვემდებარებული ობიექტების მიერ შესაბამისობის შეფასების პროცედურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს იმ სამომხმარებლო და ინდუსტრიული პროდუქტების შესაბამისობის შეფასების პროცედურებს, რომლებიც იმპორტირებულ იქნა საქართველოში იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ არის საქართველოს მთავრობის N50-ე დადგენილებაში.

კანონმდებლობის მოთხოვნები

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ ადგენს ზოგად მოთხოვნებს ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების, მათ შორის, სამშენებლო პროდუქტების მიმართ. უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები ვრცელდება იმ ინდუსტრიულ და სამომხმარებლო პროდუქტებზე, რომლებიც განკუთვნილია საქართველოს ბაზარზე განსათავსებლად. კანონის მიხედვით, სამომხმარებლო და ინდუსტრიული პროდუქტები, მათ შორის, სამშენებლო პროდუქტები, რომლებიც განთავსდება საქართველოს ბაზარზე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებასა და გარემოს.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ ასევე განსაზღვრავს სამშენებლო პროდუქტების ეტიკეტირების მოთხოვნებს, კერძოდ, კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე განმათავსებელი პირი ვალდებულია მომხმარებელს ქართულ ენაზე მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: პროდუქტის დამამზადებლის დასახელება, პროდუქტის ვარგისობის ვადა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, პროდუქტის უსაფრთხო გამოყენების წესები, პროდუქტის წონა, პროდუქტის სამომხმარებლო თვისებების ნუსხა და სხვა.

განსხვავებით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა“, რომელიც უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს განსაზღვრავს ყველა ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტისათვის და, მათ შორის, სამშენებლო პროდუქტებისათვის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის N476 დადგენილება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ადგენს მოთხოვნებს კონკრეტულად სამშენებლო პროდუქტების მიმართ. აღნიშნული დადგენილება 2018 წლის 15 ნოემბრიდან გავრცელდა 4 პროდუქტზე: ცემენტი (სეს ესნ სასაქონლო პოზიცია:2523), არმატურა (სეს ესნ სასაქონლო პოზიცია: 7214), ელექტროკაბელები (სეს ესნ სასაქონლო პოზიცია: 8544) და პლასტმასის მილები (სეს ესნ სასაქონლო პოზიცია: 3917), სხვა სამშენებლო პროდუქტებზე რეგლამენტი გავრცელდება ეტაპობრივად.

ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, სამშენებლო პროდუქტებს, რომლებიც ბაზარზე განთავსდება, უნდა გააჩნდეს სამშენებლო პროდუქტების თვისებების დეკლარაცია, რომელშიც აღწერილია, თუ რა მახასიათებლები აქვს პროდუქტს, მაგალითად, რომელი მარკის არის ცემენტი, რა სიმძლავრეს უძლებს არმატურა და სხვა. აღნიშნულ დოკუმენტს ადგენს პროდუქტის მწარმოებელი.

რეგლამენტი ასევე ადგენს მოთხოვნებს სამშენებლო მასალების მწარმოებლის, დისტრიბუტორის, ოფიციალური წარმომადგენლის, იმპორტიორის და ეკონომიკური ოპერატორისათვის, რომელმაც პროდუქტი განათავსა ბაზარზე. პროდუქტის მწარმოებელმა უნდა შეადგინოს წარმოებული პროდუქტის ტექნიკური დოკუმენტაცია და აღნიშნული დოკუმენტები 10 წლის განმავლობაში შეინახოს. აღნიშნული დოკუმენტების შენახვის ვალდებულება აქვს ზემოთ მითითებულ ყველა შესაბამის რგოლს. ყველა ზემოთ მითითებული პირი ვალდებულია, სსიპ „სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს“ მიაწოდოს ინფორმაცია, თუ აღმოაჩენს, რომ მათ მიერ წარმოებული, იმპორტირებული, გადაზიდული თუ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი შეიცავს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან გარემოსათვის.

სამშენებლო პროდუქტები, რომელიც განკუთვნილია საქართველოს ბაზარზე განთავსებისათვის წარმოებული უნდა იყოს ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად და აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.



რეგლამენტი ასევე განსაზღვრავს პროცედურებს იმისათვის, თუ როგორ უნდა გაიაროს სამშენებლო პროდუქტებმა შესაბამისობის შეფასების პროცედურები აკრედიტებულ ლაბორატორიებში.

ტექნიკური რეგლამენტის მესამე დანართი განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო პროდუქტების გამოყენებით მიღებული საბოლოო პროდუქტი, კერძოდ, სამშენებლო მასალებმა უნდა უზრუნველყონ: სამშენებლო ობიექტების სიმტკიცე და მდგრადობა, უსაფრთხოება ხანძრის დროს, ჰიგიენა და ჯანმრთელი გარემო, ხმაურისგან დაცვა, ენერგო-ეფექტურობა და სხვა.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N50 განსაზღვრავს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებში წარმოებული სამომხმარებლო და ინდუსტრიული პროდუქტები, მათ შორის, სამშენებლო მასალები, შეუფერხებლად განთავსდება საქართველოს ბაზარზე. დადგენილების მიხედვით, საქართველოს ბაზარზე შეიძლება განთავ-

სდეს ის სამშენებლო მასალები, რომლებიც წარმოებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ან ევროკავშირის წევრ ქვეყნებშია დამზადებული. დღევანდელი მდგომარეობით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრია მსოფლიოს ყველაზე უფრო მეტად განვითარებული 36 ქვეყანა, მათ შორის ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, ჩილე, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, კორეა, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვენია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და ამერიკა. ამ ქვეყნებში წარმოებული სამშენებლო მასალები, რომლებსაც გააჩნიათ ამ ქვეყნების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების სერტიფიკატები, საქართველოს ბაზარზე განთავსდება დამატებითი სერტიფიკატის და შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე.

ყველა ის სამშენებლო მასალა, რომელიც არ არის წარმოებული ამ ორგანიზაციაში შემავალ ან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებას, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ მითითებულ N51 მთავრობის დადგენილებაში.

ევროკავშირის კანონმდებლობა

ევროკავშირის რეგულაცია 305/2011 განსაზღვრავს სამშენებლო მასალების ბაზარზე განთავსების ჰარმონიზებულ წესებს, რაც გულისხმობს, რომ ევროკავშირის 28 ქვეყანა საერთო ანუ ჰარმონიზებულ მოთხოვნებს ადგენს სამშენებლო პროდუქტებისათვის.

რეგულაცია ადგენს შვიდ ძირითად მოთხოვნას, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადად სამშენებლო მასალები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ევროკოდების (ევროპული სამშენებლო სტანდარტების) შესაბამისად, თითოეული ქვეყანა თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს, ეროვნული დანართების ფარგლებში განსაზღვროს საკუთარი ნორმები შემდეგ სფეროებში:

1. მექანიკური გამძლეობა და სტაბილურობა;
2. უსაფრთხოება ხანძრის შემთხვევაში;
3. ჰიგიენა, ჯანმრთელობა და გარემო;

PANEX

4. უსაფრთხოება და გამოყენების ხელმისაწვდომობა;
5. ხმაურისგან დაცვა;
6. ენერგო ეკონომიურობა;
7. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

რეგულაციის თანახმად, პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე განთავსებამდე აუცილებლად უნდა ჰქონდეს CE ნიშანი, რაც გამოხატავს იმას, რომ პროდუქტის მახასიათებლები შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროდუქტზე CE ნიშნის დატანით, მწარმოებელი იღებს პასუხისმგებლობას ევროკავშირის რეგულაციების დაკმაყოფილებაზე.

იმისათვის, რომ მწარმოებელმა თავის პროდუქციაზე შეძლოს CE ნიშანის დატანა, მან უნდა შეადგინოს შესრულების დეკლარაცია (Declaration of Performance). დეკლარაცია უნდა იყოს შედგენილი იმ წევრი ქვეყნის ენაზე, სადაც დამზადდა პროდუქტი. დეკლარაცია უნდა იყოს წარდგენილი ამობეჭდილი და ელექტრონული ფორმებით, ის ასევე უნდა იყოს განთავსებული ვებ-გვერდზე.

დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროდუქტის ტიპი;
- შეფასების სისტემა;
- გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტის მიღების თარიღი და ნომერი;
- რისთვის არის განკუთვნილი პროდუქტი;
- პროდუქტის ძირითადი მახასიათებლების სია;
- პროდუქტის მინიმუმ ერთ-ერთი მახასიათებლის შესრულების შესახებ ინფორმაცის.

გარდა ამისა მწარმოებელი ვალდებულია შეადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დეტალურად აღწერს სამშენებლო მასალას, მისი წარმოების მეთოდს, ლაბორატორიული ტესტის შედეგებს და პროდუქტის კლასიფიკაციის შედეგებს.

ევროკავშირი ასევე განსხვავებულ მოთხოვნებს ადგენს მწარმოებლისთვის, იმპორტიორისთვის და დისტრიბუტორისთვის:

მწარმოებელი ვალდებულია შეადგინოს შესრულების დეკლარაცია, შეადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია, უზრუნველყოს წარმოების მუდმივობა, მიაწოდოს უსაფრთხოების წესები ან ინსტრუქციები, დაატანოს პროდუქციაზე სწორი შეფუთვა, შეატყობინოს შესაბამის უწყებებს პრობლემის არსებობა, მიაწოდოს დოკუმენტაცია შესაბამის უწყებებს.

იმპორტიორი ვალდებულია მოახდინოს მხოლოდ ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისი პროდუქციის იმპორტი, უზრუნველყოს იმის გაკონტროლება, რომ მწარმოებელმა მიაწოდა სწორი დოკუმენტაცია, დაატანოს იმპორტიორის საკონტაქტო ინფორმაცია პროდუქტზე, მიაწოდოს უსაფრთხოების წესები ან ინსტრუქციები, უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისი შენახვა და ტრანსპორტირება, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ტესტები, შეატყობინოს შესაბამის უწყებებს პრობლემის არსებობა, მიაწოდოს დოკუმენტაცია შესაბამის უწყებებს.

დისტრიბუტორი ვალდებულია უზრუნველყოს იმის გაკონტროლება, რომ მწარმოებელმა მიაწოდა სწორი დოკუმენტაცია, უზრუნველყოს ის, რომ CE ნიშანი დატანილია პროდუქტზე, შეატყობინოს შესაბამის უწყებებს პრობლემის არსებობა, შეატყობინოს მწარმოებელს პრობლემის არსებობა, მიაწოდოს დოკუმენტაცია შესაბამის უწყებებს, უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისი შენახვა და ტრანსპორტირება.

გარდა ამისა, ევროკავშირის პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების თანახმად, მწარმოებელმა ევროკავშირის ბაზარზე უნდა განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი. ასევე, მან უნდა უზრუნველყოს მომხმარებლების გაფრთხილება ნებისმიერ შესაძლო რისკთან დაკავშირებით. ამასთანავე, მწარმოებელი ვალდებულია მოახდინოს პროდუქტის მიკვლევადობა რაიმე ტიპის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, რათა ის ამოღებული იქნას ბაზრიდან და არ მიაყენოს ზიანი მომხმარებელს.

პროდუქტზე დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანი ევროკავშირში სასამართლოს წესით განიხილება, თუმცა, დეფექტური პროდუქციის შესახებ რეგულაციის თანახმად, მწარმოებელი შეიძლება გათავისუფლებული იყოს რაიმე ტიპის პასუხისმგებლობისგან, თუ ის დაამტკიცებს, რომ:

- მას არ განუთავსებია პროდუქტი ბაზარზე;
- დეფექტის მიზეზი იყო პასუხისმგებელი უწყების მიერ განსაზღვრულ რეგულაციასთან შესაბამისობა;
- მეცნიერული ან ტექნიკური ცოდნა პროდუქტის შექმნის დროს ვერ აღმოფხვრიდა პროდუქტის დეფექტს.

პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან და ასოციაცია ათინათთან თანამშრომლობით.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Economic Policy Research Center (EPRC) and Association Atinati.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Economic Policy Research Center (EPRC) and not the Konrad Adenauer Stiftung or its partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union”.



რა უნდა ვიცოდეთ **სამშენებლო მასალების** წარმოებისა და ბაზარზე განთავსებისათვის

სამოქალაქო საზოგადოება –
მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის
მხარდასაჭერად

DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის / DCFTA for SMEs

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 85
ტელ: 032 220 73 05
ელ. ფოსტა: iguruli@eprc.ge